



ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-03 10.01.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის
ჩატარების წესი

ნდ №2-030101-05

ბათუმი

2023



შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 2. აკადემიური პერსონალი	4
მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავება. კონკურსის ჩატარების პრინციპები	5
მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები	7
მუხლი 5. კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად	8
1. კონკურსის ჩატარების ეტაპები; 2. გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების შესახებ; 3. ინფორმაცია კონკურსის შესახებ; 4. საკონკურსო საბუთები; 5. საკონკურსო საბუთების წარდგენა; 6. საკონკურსო საბუთების მიღება; 7. საკონკურსო კომისია; 8. კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება; 9. საპრეტენზიო კომისია; 10. კონკურსის შედეგები.	
მუხლი 6. დებულების დანართები.....	9
მუხლი 7. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა	9
მუხლი 8. დასკვნითი დებულებები	9
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი.....	30

პრეამბულა

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესის დამტკიცების აქტით;
2. წესს და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბნსუ-ს იურისტი, ფაკულტეტების დეკანები, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებს და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. წესში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
4. წესში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. წესის ორიგინალი (ელ. ვერსიის სახით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

გავრცელების სფერო

1. წინამდებარე წესი ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. წესი ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ წესის რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტში არსებული წესები.

ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი;
3. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
4. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
5. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
6. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
7. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პროცედივები (ESG - European Standards and Guidelines);
8. ENQA-ს რეკომენდაციები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით;
9. ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლების პირობებში (ESG-2015-ის სტანდარტებით);
10. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
11. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
12. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
13. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
14. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
15. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს/აზუსტებს ბნსუ-ში დასაკმეხული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მის მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/პერსონალის ფუნქციურ დაქვემდებარებას, ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ბს - ხარისხის სისტემა;

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

ESG - European Standards and Guidelines;

ENQA - European Network for Quality Assurance;

სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;

სსა - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია.



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი“ (შემდგომში - წესი) არეგულირებს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ-ს) აკადემიური თანამდებობების დაკავების ძირითად განმსაზღვრელ წესებს, მოთხოვნებს, პროცედურებს, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და ბნსუ-ს წესდებისა და შინაგანაწესის საფუძველზე;
3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდასაუნივერსიტეტო სხვა აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
4. ბნსუ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ვებგვერდის მეშვეობით. ბნსუ-ს პერსონალი და ამ დებულების რეალიზებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავება. კონკურსის ჩატარების პრინციპები

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურსის პრინციპებს:
 - 1) კონკურსი გამჭვირვალეა, თუ ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია და ინტერესებულ პირთათვის. საზოგადოებისთვის კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით;
 - 2) კონკურსი თანასწორია, თუ გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა კონკურსანტი იმყოფება თანაბარ პირობებში;
 - 3) კონკურსენცია სამართლიანია, თუ გამოყენებულია შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ბნსუ-ში აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს და ბნსუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება იყოს არჩეული პირი პროფესიული ნიშნით, რომლის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - 1) ბნსუ-ში აკადემიური ნიშნით აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მოთხოვნები: ა) პროფესორი - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) შესრულებული პუბლიკაცია/პუბლიკაციები, ნაშრომი/ნაშრომები, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ბ) ასოცირებული პროფესორი - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) შესრულებული პუბლიკაცია/პუბლიკაციები, ნაშრომი/ნაშრომები, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; გ) ასისტენტ-პროფესორი - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) შესრულებული პუბლიკაცია/პუბლიკაციები, ნაშრომი/ნაშრომები ან/და სხვ., რაც ადასტურებენ შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; დ) ასისტენტი - საქართველოს ან უცხოეთის უსდ-ს დოქტორანტობა.
 - 2) ბნსუ-ში პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მოთხოვნები: ა) პროფესორი - უმაღლესი განათლება, არანაკლებ 6 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და შესაბამის დარგში პროფესიული გამოცდილება (არანაკლებ 6 წელი), შესაბამის დარგში სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები; ბ) ასოცირებული პროფესორი - უმაღლესი განათლება, არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და შესაბამის დარგში პროფესიული გამოცდილება (არანაკლებ 5 წელი), შესაბამის დარგში სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები; გ) ასისტენტ-პროფესორი - უმაღლესი განათლება, შესაბამის დარგში პროფესიული გამოცდილება (არანაკლებ 4 წელი), შესაბამის დარგში სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები; დ) ასისტენტი - უმაღლესი განათლება, შესაბამის დარგში პროფესიული გამოცდილება (არანაკლებ 3 წელი), შესაბამის დარგში სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები.
3. გარდა ზემოთ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა, ბნსუ უფლებამოსილია გამოიყენოს კონკურსის სხვა მოთხოვნები (მაგ., პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის შემთხვევაში - სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ის წარდგენა, კონკრეტული უცხო ენ(ებ)ის (დარგობრივი ან/და კონკრეტულ დონეზე) ფლობა, კონკრეტული/დარგობრივი კომპიუტერული პროგრამის ცოდნა ან/და სხვ.). ასევე, ბნსუ უფლებამოსილია შეიმუშაოს და გამოიყენოს კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები, მაგ.:
 - 1) პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობებისთვის: სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ის შეფასება; საკონკურსო ვაკანსიის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების და/ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); პედაგოგიური და დარგობრივი სამეცნიერო და პროფესიული მუშაობის სტაჟი (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); დარგობრივ კონფერენციებში/სემინარებში/სხვ. მონაწილეობა (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); დარგობრივი პროფესიული განვითარება: დარგობრივი სტაჟირება/ტრენინგები/სხვ. (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); დარგობრივი სტიპენდიები/გრანტები/სხვ. (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); უცხო ენის ფლობა; კომპიუტერული უნარები და/ან სხვ. კონკურსი შეიძლება ითვალისწინებდეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის



კონცეფციის ზეპირ პრეზენტაციას. შემაჯამებელი საკონკურსო ქულა წარმოადგენს შეფასების ყველა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამს. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან კონკურსანტები, რომლებმაც (საკონკურსო ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით) დააგროვეს მეტი შემაჯამებელი საკონკურსო ქულა. ბოლო ვაკანტურ ადგილზე ორი ან მეტი თანაბარქულიანი კონკურსანტის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება კონკურსანტს, რომელსაც აქვს სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ის და პრეზენტაციის (არსებობის შემთხვევაში) შეფასებების მეტი ჯამური ქულა. ტოლი შემაჯამებელი საკონკურსო ქულების შემთხვევაში კომისია საკითხს გადაწყვეტს ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია;

2) ასისტენტის აკადემიური თანამდებობისთვის: გამოქვეყნებული დარგობრივი სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); პედაგოგიური და/ან დარგობრივი პროფესიული მუშაობის სტაჟი (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); დარგობრივ კონფერენციებში/სემინარებში/სხვ. მონაწილეობა (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); დარგობრივი პროფესიული განვითარება: დარგობრივი სტაჟირება/ტრენინგები/სხვ. (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); დარგობრივი სტიპენდიები/გრანტები/სხვ. (ბნსუ-ს მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში); უცხო ენის ცოდნა; კომპიუტერული უნარები და/ან სხვ. კონკურსი შეიძლება ითვალისწინებდეს კონკურსანტებთან გასაუბრებას, რომელიც ტარდება საკონკურსო ვაკანსიის სფეროს შესაბამის თემებზე. შემაჯამებელი საკონკურსო ქულა წარმოადგენს შეფასების ყველა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამს. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის კონკურსანტები, რომლებმაც (საკონკურსო ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით) დააგროვეს მეტი შემაჯამებელი საკონკურსო ქულა. ბოლო ვაკანტურ ადგილზე ორი ან მეტი თანაბარქულიანი კონკურსანტის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც აქვს გასაუბრების (არსებობის შემთხვევაში) შეფასების მეტი ქულა. ტოლი შემაჯამებელი საკონკურსო ქულების შემთხვევაში კომისია საკითხს გადაწყვეტს ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

4. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით, ბნსუ უფლებამოსილია თითოეული კონკურსის შემთხვევაში განსაზღვროს საკონკურსო ვაკანსიის სფერო, საკონკურსო აკადემიური თანამდებობები და ვაკანტური ადგილების რაოდენობა; კონკურსის ჩატარების ვადები; გამოიყენოს წინამდებარე წესში მითითებული (ბნსუ-ს მიერ დადგენილი) ერთი, რამდენიმე, ყველა ან არცერთი მოთხოვნა ან შეფასების კომპონენტი/კრიტერიუმი, შეიმუშავოს და გამოიყენოს წინამდებარე წესში მითითებულისგან (ბნსუ-ს მიერ დადგენილისგან) განსხვავებული კონკურსის მოთხოვნები, შეფასების კომპონენტები/კრიტერიუმები, რომელიმეს მიანიჭოს პრიორიტეტი ან უარი თქვას პრიორიტეტის მინიჭებაზე; გამოიყენოს წინამდებარე წესის თანდართული ან თანდართულისგან განსხვავებული საკონკურსო ანკეტები/ფორმები/სხვ.

მუხლი 5. კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

1. კონკურსის ჩატარების ეტაპები

1. კონკურსის ჩატარების ეტაპებია: ბრძანების გამოცემა კონკურსის გამოცხადების შესახებ; ბრძანებით დადგენილ ვადაში კონკურსის საჯარო გამოქვეყნება, ბნსუ-ს ვებგვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება; საკონკურსო საბუთების მიღება (კანონმდებლობის შესაბამისად საბუთების მიღების დაწყება - კონკურსის საჯარო გამოცხადებიდან არანაკლებ ერთ თვეში); საკონკურსო კომისიის მუშაობა; კონკურსის წინასწარი შედეგების გამოცხადება; კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება; საპრეტენზიო კომისიის მუშაობა; კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადება; აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნვის ბრძანების გამოცემა;

2. კონკურსის თარიღების განსაზღვრისას, ბნსუ-ს შეუძლია თითოეული კონკურსისთვის დაადგინოს განსხვავებული ვადები (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადისა) და გამოიყენოს როგორც სამუშაო, ისე კალენდარული დღეები.

2. გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების შესახებ

ბნსუ-ში კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ან აკადემიური საბჭოს ან რექტორის ინიციატივით. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, სადაც მითითება კონკურსის საჯარო გამოქვეყნების თარიღი და წესი (დასაქმების ცნობად ვებგვერდზე და/ან ბეჭდური ინფორმაციის საშუალებით გამოქვეყნება); საკონკურსო ვაკანსი(ებ)ის სფერო(ებ)/სხვ., საკონკურსო აკადემიური თანამდებობები ვაკანტური ადგილების მითითებით; გამოცხადებულ აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის ვადები; მოთხოვნები კონკურსანტთა მიმართ; კონკურსზე წარსადგენი საბუთები, საბუთების წარდგენის ვადა/თარიღ(ებ)ი და წესი (ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე გაგზავნა); საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადა/თარიღ(ებ)ი; კონკურსის წინასწარი შედეგების გამოცხადების ვადა/ თარიღი და წესი (ბნსუ-ს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ან/და სხვ.); წინასწარი შედეგების გასაჩივრების (საპრეტენზიო განცხადებების წარდგენის) ვადა/თარიღ(ებ)ი და წესი (ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ. ფოსტაზე გაგზავნა); საპრეტენზიო კომისიის მუშაობის ვადა/თარიღ(ებ)ი; კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადების ვადა/თარიღი და წესი (ბნსუ-ს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ან/და სხვ.). თუ კონკურსი ითვალისწინებს სასწავლო კურსების კონცეფციის პრეზენტაციის ან/და გასაუბრების ჩატარებას, მაშინ ეს უნდა იყოს მითითებული კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში. რექტორის ბრძანებით (შეიძლება გამოიცეს ცალკე აქტის სახით) განისაზღვრება საკონკურსო საბუთების და საპრეტენზიო განცხადებების მიღებაზე და დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ვინაობა, მტკიცდება საკონკურსო ანკეტები/სხვ. (წინამდებარე წესის თანდართულისგან განსხვავებული ანკეტების/სხვ. გამოყენების შემთხვევაში), კონკურსის ჩატარების და საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით შექმნილი საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობა (წევრები და თავმჯდომარე) და მდივნების ვინაობა. ბნსუ-ში შეიძლება შეიქმნას დარგობრივი ან ერთიანი საუნივერსიტეტო საკონკურსო და/ან საპრეტენზიო კომისიები.

3. ინფორმაცია კონკურსის შესახებ

საკონკურსო საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, ინფორმაცია კონკურსის შესახებ გამოქვეყნდება დასაქმების ცნობად ვებგვერდზე (მაგ., hr.ge ან/და სხვ.) და/ან ბეჭდური ინფორმაციის საშუალებით და განთავსდება ბნსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე. უნდა იყოს უზრუნველყოფილი შემდეგი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: საკონკურსო ვაკანსი(ებ)ის სფერო(ებ)/სხვ., აკადემიური თანამდებობები და ვაკანტური ადგილების რაოდენობა; მოთხოვნები კონკურსანტთა მიმართ; საკონკურსო საბუთები, მათი წარდგენის ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეებისა და საათების მითითებით) და წესი (ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ბნსუ-ს ელ.ფოსტაზე გაგზავნა); წინასწარი შედეგების გასაჩივრების - საპრეტენზიო განცხადებების მიღების ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეებისა და საათების მითითებით) და წესი (ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ბნსუ-ს ელ.ფოსტაზე გაგზავნა); კონკურსის წინასწარი და საბოლოო შედეგების გამოცხადების ვადა/თარიღი და წესი (ბნსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება და/ან სხვ.); საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების მუშაობის ვადები/თარიღ(ებ)ი; აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნვის ბრძანების გამოცემის ვადა/თარიღი; დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ოფიციალუ-



რი ელ.ფოსტა და ოფიციალური ვებგვერდი). თუ კონკურსი ითვალისწინებს სასწავლო კურსების კონცეფციის პრეზენტაციის ან/და გასაუბრების ჩატარებას, მაშინ ეს უნდა იყოს მითითებული ინფორმაციაში კონკურსის შესახებ და ბნსუ-ს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს მათი ჩატარების განრიგი. ასევე, ბნსუ-ს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს კონკურსანტის ანკეტა და შეიძლება განთავსდეს კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და სხვა ანკეტები/ფორმები.

4. საკონკურსო საბუთები

კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: 1) კონკურსანტის განცხადება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე; 2) შეესბუღილი კონკურსანტის ანკეტა; 3) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი და ფოტოსურათი (დაბეჭდილი 3X4-ზე; ელ. ვერსია); 4) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; 5) 5.1 - პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის შემთხვევაში: ა) აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურებისას - დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხისა და მოთხოვნილი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, ბ) პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურებისას - მოთხოვნილი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, სპეციალური მომზადების ან/და პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები, პედაგოგიური (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში) გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები; 5.2 - ასისტენტის შემთხვევაში: ა) აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურებისას - უსდ-ს მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ (სადოქტორო პროგრამის დასახელების, ჩარიცხვის თარიღის, სტუდენტის სტატუსის, პროგრამით სწავლის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მითითებით), ბ) პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურებისას - მოთხოვნილი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, სპეციალური მომზადების ან/და პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები; 6) სხვა საბუთები, რომლებიც მითითებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში (მაგ., სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი, ბოლო 5 წლის განმავლობაში/პერიოდში გამოცემული/გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების/პუბლიკაციების ნუსხა და/ან სხვ.); 7) „კონკურსანტის ანკეტაში“ მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ: 1) წარსადგენია ზემოთ მითითებული დოკუმენტების ასლები, გარდა დაწესებულების/ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობისა (წარსადგენია დედანი, მატერიალური სახით დომუმენტების წარდგენის შემთხვევაში); 2) უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში წარსადგენია დოკუმენტის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი; 3) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღებისა და უცხო ენაზე გაცემული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, წარსადგენია დოკუმენტის ასლი, სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი; 3) უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების/სამეცნიერო ხარისხის გათანაბრება ხდება ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად; 4) პედაგოგიურ გამოცდილებად მიიჩნევა მხოლოდ საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს (უცხოეთში მოღვაწეობის შემთხვევაში) მიერ აღიარებულ უსდ-ში პედაგოგიური საქმიანობა; 5) საკონკურსო საბუთების განხილვისას მხედველობაში იქნება მიღებული სამეცნიერო ნაშრომი/პუბლიკაცია, რომელიც კონკურსის ჩატარების მომენტისთვის გამოცემული/გამოქვეყნებული არ არის, თუ კონკურსანტმა: ა) წარადგინა გამოსაცემად/ გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომი/პუბლიკაცია (ამონაბეჭდი/ელ.ვერსია) და კონკურსის დასრულების შემდგომ პერიოდში ნაშრომის/პუბლიკაციის გამოცემის/გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სარედაქციო კოლეგიიდან, გამომცემ-ლიდან, გამომცემის/გამოქვეყნების დამფინანსებელი დაწესებულებიდან ან სხვ.) ან ბ) საკონკურსო კომისიის მუშაობის დასრულებამდე განცხადებით მიმართა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს და წარადგინა საკონკურსო კომისიის მუშაობის პერიოდში ნაშრომის/პუბლიკაციის გამოცემის/გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაშრომის შემთხვევაში - გამოცემული სახელმძღვანელო/მონოგრაფია/სხვ., პუბლიკაციის შემთხვევაში - გამოცემული ჟურნალი/კრებული/სხვ.); 6) კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსანტის ანკეტაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტე, ხოლო ბნსუ იტოვებს უფლებას გადაამოწმოს ინფორმაციის და წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა.

5. საკონკურსო საბუთების წარდგენა

1. საკონკურსო საბუთების (შემდგომში – საბუთები) წარდგენა ხდება ერთიანად კონკურსში მონაწილეობის მსურველის ან მისი ოფიციალური მინდობილი პირის მიერ (გამონაკლისს წარმოადგენს, მაგ., შემთხვევები: საბუთების ჩაბარების პერიოდში კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის ავადმყოფობა, საზღვარგარეთ ყოფნა ან სხვა ობიექტური გარემოებები, როდესაც განცხადებას ავადგებს კონკურსში მონაწილეობის მსურველი, ხოლო საკონკურსო საბუთებს წარადგენს მინდობილი პირი; საბუთების ჩაბარების პერიოდში მიმდინარე აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, როდესაც კონკურსანტი დამატებითად წარადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადის ამოწურვამდე);
2. კონკურსზე საბუთების წარდგენა შესაძლებელია კონკურსის შესახებ ინფორმაციაში მითითებულ ვადაში/თარიღ(ებ)ში და წესით - ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარებით (მითითებულ სამუშაო დღეებში და საათებში) და/ან ელ.ფოსტის გამოყენებით ბნსუ-ს ელ.ფოსტაზე გაგზავნით (წერილის ველში უნდა მიეთითოს „აკადემიური კონკურსი“, კონკურსზე წარსადგენი საბუთები უნდა დაერთოს გზავნილის ბმულების სახით, ფორმატი *.pdf);
3. თუ საბუთების წარდგენა მოხდება ელ.ფოსტის მეშვეობით სამუშაო დღეებში და საათებში, მაშინ საბუთების გაგზავნის დღესვე საბუთების გამგზავნი პირი ელ.ფოსტით მიიღებს შეტყობინებას საბუთების მიღების და სარეგისტრაციო ნომრის შესახებ; თუ საბუთების გაგზავნა მოხდება არასამუშაო დღეს ან სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, მაშინ ამ შეტყობინებას პირი მიიღებს მომდევნო სამუშაო დღეს. შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში პირი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა სამუშაო საათებში ბნსუ-ში მისვლით ან ბნსუ-ს საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვით დააზუსტოს საბუთების მიღების ფაქტი და სარეგისტრაციო ნომერი. საბუთების მიღების ბოლო დღეს ელ.ფოსტის მეშვეობით საბუთების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სამუშაო საათების დასრულებამდე.

6. საკონკურსო საბუთების მიღება

1. საკონკურსო საბუთების (შემდგომში – საბუთები) მიღებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით დანიშნული პირ(ებ)ი (ბნსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის ან რომელიმე სხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი);
2. საბუთების მიღებისას არ ხდება მათი შინაარსობრივი და ფორმალური მხარეების შემოწმება, საბუთების მიღება გულისხმობს მხოლოდ საბუთების მიღებასა და აღრიცხვას. საბუთების მიღებისას ხდება საბუთების დალუქვა და აღრიცხვა სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელშიც ინფორმაციის შეტანა იწყება საბუთების მიღების პირველ დღეს და მთავრდება საბუთების მიღების ბოლო დღეს სამუშაო საათების დასრულებისთანავე (ერთიანი ჟურნალის წარმოების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებელი პი-



რის მიერ ჩანაწერი კეთდება ყოველ კონკურსზე საბუთების მიღების დასრულებისთანავე). ელექტრონული ფორმით საბუთების მიღების შემთხვევაში საღრიცხვო ჟურნალში კეთდება ჩანაწერი საბუთების ელექტრონული სახით მიღების შესახებ;

3. მატერიალური ფორმით საბუთების ჩაბარების ფაქტი დასტურდება დაინტერესებული პირის/მისი ოფიციალური მინდობილი პირის ხელმოწერით, ხოლო ელ. ფოსტის მეშვეობით საბუთების მიღების ფაქტი და თარიღი დასტურდება გზავნილის თარიღითა და ბმულებით;

4. სარეგისტრაციო ჟურნალი და საკონკურსო საბუთები გადაეცემა საკონკურსო კომისიას მუშაობის დაწყებისთანავე.

7. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია) არის დროებითი, იქმნება საკონკურსო საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე რექტორის ბრძანებით, სადაც განისაზღვრება კომისიის მოქმედების ვადა/თარიღი(ებ)ი, კომისიის შემადგენლობა (თავმჯდომარის და წევრთა ვინაობა), კომისიის მდივნის ვინაობა და სხვ. კომისიის წევრი შეიძლება იყოს: ბნსუ–ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და მოწვეული პერსონალი და/ან კომისიაში მუშაობის მიზნით სპეციალურად მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ი, კომისიის მინიმუმ 1 წევრი უნდა იყოს საკონკურსო ვაკანსიის სფეროს/სხვ. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას და თავმჯდომარეობს სხდომებს. კომისიის მდივანი (ამავდროულად – სხდომების მდივანი) არის ბნსუ–ს რომელიმე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის გამართულ მუშაობას, ასრულებს საკოორდინაციო-საორგანიზაციო ფუნქციებს და სხვადასხვა ტექნიკურ და საინფორმაციო სამუშაოს, არ არის კომისიის წევრი, არ მონაწილეობს საბუთების განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში. კომისიის შემადგენლობის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ახდენს კომისიის ფორმირებას, ან პირი, რომელიც თავად მონაწილეობს კონკურსში. კომისიის წევრი/თავმჯდომარე ვალდებულია საკონკურსო საბუთების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელსაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვაში და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში, და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითნაყოფიერების შესახებ. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და წინამდებარე წესის საფუძველზე. კომისიის მუშაობის წესი:

2. საკონკურსო საბუთების შესწავლა: კომისია ვალდებულია განიხილოს კონკურსზე წარდგენილი საბუთები და შეაფასოს კონკურსანტის ანკეტაში მითითებული ინფორმაცია წინასწარ დადგენილი შეფასების კომპონენტებით/კრიტერიუმებით (ვაკანსიის სფეროსთან დაკავშირებული ასპექტები ფასდება კომისიის წევრი-დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ);

3. სილაბუსის შეფასება: სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასება ხდება კომისიის წევრი-დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ, ინდივიდუალურად, წინასწარ განსაზღვრული შეფასების კომპონენტებით/კრიტერიუმებით. რამდენიმე შემთხვევაში სილაბუსის შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს ყველა შემთხვევის მიერ მინიჭებული შეფასების ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს;

4. სასწავლო კურსის კონცეფციის ზეპირი პრეზენტაცია, გასაუბრება: კონკურსი, გარდა საბუთების შესწავლისა, შესაძლოა ითვალისწინებდეს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის საკონკურსო თანამდებობის შემთხვევაში - კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის კონცეფციის ზეპირი პრეზენტაციის (შემდგომში – პრეზენტაცია), ხოლო ასისტენტის საკონკურსო თანამდებობის შემთხვევაში - საკონკურსო ვაკანსიის სფეროს შესაბამის თემებზე კონკურსანტთან გასაუბრების (შემდგომში – გასაუბრება) ჩატარებას;

1) სასწავლო კურსის კონცეფციის ზეპირი პრეზენტაცია - კონკურსანტის მიერ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსის წარდგენის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, წინასწარი დაზუსტების გარეშე, თავად აირჩიოს კონკრეტული სასწავლო კურსი პრეზენტაციის ჩასატარებლად. სასწავლო კურსის კონცეფციის პრეზენტაციის შეფასება ხდება კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად (დარგთან დაკავშირებული ასპექტები ფასდება კომისიის წევრი-დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ). შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კომპონენტებით/კრიტერიუმებით. პრეზენტაციის შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს კომისიის ყველა წევრის მიერ მინიჭებული შეფასების ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს;

2) გასაუბრება - გასაუბრების შეფასება ხდება კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად (დარგთან დაკავშირებული ასპექტები ფასდება კომისიის წევრი-დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ). შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კომპონენტებით/კრიტერიუმებით. გასაუბრების შემაჯამებელი შეფასება (ქულა) წარმოადგენს კომისიის ყველა წევრის მიერ მინიჭებული შეფასების ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

5. სპეციფიკური საკითხის ობიექტურად შესწავლა-შეფასების მიზნით, კომისიამ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სხდომაზე ბნსუ–ს ორისტის და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირების, ექსპერტების ან/და სხვ. მოწვევის შესახებ (არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში);

6. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე არანაკლებ წევრთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, კენჭისყრის შედეგების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე კომისიის სხდომა არის დახურული. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმებში, სადაც მითითება: სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობა - კომისიის თავმჯდომარე, წევრები, სხდომის მდივანი და სხდომაზე მოწვეული/დამსწრე პირები (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; მომხსენებლების ვინაობა; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მდივანი;

7. კომისიის მუშაობის ბოლო ეტაპზე (ყველა საკონკურსო საბუთის განხილვისა და არსებობის შემთხვევაში პრეზენტაციების და/ან გასაუბრებების დასრულების შემდეგ) დგება კომისიის მუშაობის შემაჯამებელი (კონკურსის წინასწარი შედეგების ამსახველი) ოქმი, სადაც მითითებულია კონკურსის წინასწარი შედეგები - კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტ(ებ)ის ვინაობა (აკადემიური თანამდებობების და საკონკურსო სფერო(ებ)ი/სხვ.) მითითებით) და იმ პირთა ვინაობა, რომლებსაც უარი ეთქვათ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევაზე (გადაწყვეტილების დასაბუთების მითითებით). კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელმაც საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობის გათვალისწინებით დადგინდა ყველაზე მეტი შემაჯამებელი საკონკურსო ქულა. გადაწყვეტილება კონკურსანტისთვის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის კონკურსის წინასწარი შედეგების გამოცხადებისთანავე;

8. კონკურსის წინასწარი შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს და შეიცვალოს საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებით. თუ არ მოხდება კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება, მაშინ საკონკურსო კომისიის შემაჯამებელ ოქმში ასახული კონკურსის წინასწარი შედეგები მიიჩნევა კონკურსის საბოლოო შედეგად;



9. ყველა გამომცხადებულ საკონკურსო ვაკანსიაზე კონკურსანტთა არარსებობის ან გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შემდგომ დასრულების (მაგ, კონკურსის პირობებთან ყველა კონკურსანტის შეუსაბამობის ან სხვ.) შემთხვევაში, დგება ოქმი კონკურსის არშემდგარად გამოცხადების შესახებ.

8. კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის წინასწარი შედეგის გასაჩივრება (საპრეტენზიო განცხადებების წარდგენა) შესაძლებელია გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში/თარიღ(ებ)ში (მითითებულ სამუშაო დღეებში და საათებში) და წესით (საპრეტენზიო განცხადების ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ელ.ფოსტის გამოყენებით ბნსუ-ს ელ.ფოსტაზე გაგზავნა);
2. პრეტენზია უნდა იყოს არგუმენტირებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი. დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს საკითხის განხილვაზე დასწრება, აღნიშნულის შესახებ მან უნდა მიუთითოს საპრეტენზიო განცხადებაში, რომლითაც ასაჩივრებს კონკურსის წინასწარ შედეგებს.
3. ელ.ფოსტის მეშვეობით საპრეტენზიო განცხადების გაგზავნის შემთხვევაში: ა) წერილის ველში უნდა მიეთითოს „კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება“ (განცხადება უნდა დაერთოს გზავნილის ბმულების სახით, ფორმატი *.pdf); ბ) სამუშაო დღეებში და საათებში განცხადების გაგზავნის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი იმავე დღეს ელ.ფოსტით მიიღებს შეტყობინებას განცხადების მიღების და სარეგისტრაციო ნომრის შესახებ, თუ განცხადების გაგზავნა მოხდება არასამუშაო დღეს ან სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, მაშინ ამ შეტყობინებას პირი მიიღებს მომდევნო სამუშაო დღეს. შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, პირი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, სამუშაო საათებში ბნსუ-ში მისვლით ან ბნსუ-ს საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვით, დააზუსტოს განცხადების მიღების ფაქტი და სარეგისტრაციო ნომერი. საპრეტენზიო განცხადებების მიღების ბოლო დღეს ელ.ფოსტის მეშვეობით განცხადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სამუშაო საათების დასრულებამდე. საპრეტენზიო განცხადებები აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელშიც ინფორმაციის ასახვა იწყება საპრეტენზიო განცხადებების მიღების პირველ დღეს და მთავრდება განცხადებების მიღების ბოლო დღეს სამუშაო საათების დასრულებისთანავე (ერთიანი ჟურნალის წარმოების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ჩანაწერი კეთდება ყოველ კონკურსზე საპრეტენზიო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე).
4. მატერიალური ფორმით საპრეტენზიო განცხადების ჩაბარების ფაქტი დასტურდება დაინტერესებული პირის/მისი ოფიციალური მინდობილი პირის ხელმოწერით, ხოლო ელ. ფოსტის მეშვეობით საბუთების მიღების ფაქტი და თარიღი დასტურდება გზავნილის თარიღითა და ბმულებით;
5. სარეგისტრაციო ჟურნალი და საპრეტენზიო განცხადებები გადაეცემა საპრეტენზიო კომისიას მუშაობის დაწყებისთანავე.

9. საპრეტენზიო კომისია

1. საპრეტენზიო განცხადებებს განხილავს საპრეტენზიო კომისია (შემდგომში – კომისია), რომელიც არის დროებითი, იქმნება კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე რექტორის ბრძანებით, სადაც განისაზღვრება კომისიის მოქმედების ვადა/თარიღ(ებ)ი, კომისიის შემადგენლობა (თავმჯდომარის და წევრთა ვინაობა), კომისიის მდივნის ვინაობა და სხვ. კომისიის წევრი შეიძლება იყოს: ბნსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და მოწვეული პერსონალი და/ან კომისიაში მუშაობის მიზნით სპეციალურად მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ი, კომისიის მინიმუმ 1 წევრი უნდა იყოს საკონკურსო ვაკანსიის სფეროს/სხვ. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას და თავმჯდომარეობს სხდომებს. კომისიის მდივანი (ანავდროულად – სხდომების მდივანი) არის ბნსუ-ს რომელიმე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის გამართულ მუშაობას, ასრულებს საკოორდინაციო-საორგანიზაციო ფუნქციებს და სხვადასხვა ტექნიკურ და საინფორმაციო სამუშაოს, არ არის კომისიის წევრი, არ მონაწილეობს საბუთების განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში. კომისიის შემადგენლობის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ახდენს კომისიის ფორმირებას, არის საკონკურსო კომისიის წევრი ან თავად მონაწილეობს კონკურსში. კომისიის წევრი/თავმჯდომარე ვალდებულია საპრეტენზიო განცხადებების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვაში და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში, და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და წინამდებარე წესის საფუძველზე.
2. კომისიის მუშაობის წესი: კომისია განიხილავს ყველა საპრეტენზიო განცხადებას ინდივიდუალურად, საკონკურსო საბუთების და განცხადებაში მითითებული არგუმენტაციის შესწავლით. კომისიამ შეიძლება მოითხოვოს სხდომაზე საკონკურსო კომისიის წევრების და დაინტერესებულ პირის დასწრება, საკონკურსო კომისიის წევრებს და დაინტერესებულ პირს აქვთ საკითხის განხილვაზე დასწრებისა და არგუმენტების წარდგენის უფლება. საპრეტენზიო განცხადებაში მოცემული არგუმენტაციის სრულფასოვანი განხილვის, კონსულტაციის, ამა თუ იმ სპეციფიკური საკითხის ობიექტურად შესწავლის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიამ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სხდომაზე ბნსუ-ს იურისტის და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირების - ექსპერტების ან/და სხვ. მოწვევის შესახებ (არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში);
3. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე არანაკლებ წევრთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, კენჭისყრის შედეგების შესაბამისად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარის პოზიციას. გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე კომისიის სხდომა არის დახურული. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმებში. ოქმი მიეთითება: სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობა - კომისიის თავმჯდომარე, წევრები, სხდომის მდივანი და სხდომაზე მოწვეული/დამსწრე პირები (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; მომხსენებლების ვინაობა; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მდივანი;
4. კომისიის მუშაობის ბოლო ეტაპზე (ყველა საპრეტენზიო განცხადების განხილვის შემდეგ) დგება შემაჯამებელი ოქმი, სადაც ასახულია კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები - კონკურსის წინასწარ შედეგებში შესული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კონკურსის საბოლოო შედეგები - იმ პირთა ვინაობა, რომლებსაც უარი ეთქვათ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევაზე (გადაწყვეტილების დასაბუთების მითითებით) და კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტ(ებ)ის ვინაობა (აკადემიური თანამდებობების და საკონკურსო სფეროს/სხვ. მითითებით);
5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. პირს, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, შეუძლია

გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. კონკურსის შედეგები

1. თუ კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში არ მოხდა კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება, მაშინ კონკურსის წინასწარი შედეგები მიიჩნევა ბნსუ-ში ჩატარებული კონკურსის საბოლოო შედეგად. კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში კონკურსის საბოლოო შედეგებს ასახავს საპრეტენზიო კომისიის შემაჯამებელი ოქმი. კონკურსის საბოლოო შედეგების ამსახველი ოქმი გადაეცემა ბნსუ-ს რექტორს, რის საფუძველზეც გამოიცემა ბრძანება შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე გამარჯვებულ კონკურსანტთა დანიშვნის შესახებ. გამარჯვებულ კონკურსანტებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულებები და ისინი მიჩნეულ იქნებიან ბნსუ-ს აკადემიურ პერსონალად. ინფორმაცია ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის შესახებ განთავსდება ბნსუ-ს ვებგვერდზე. კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ კონკურსის ჩატარებასთან, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების მუშაობასთან დაკავშირებული და სხვ. საბუთები გადაეცემა ბნსუ-ს კანცელარიას არქივში შენახვის მიზნით;

2. ბნსუ-ში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა განისაზღვრება ბნსუ-ს რექტორის ბრძანებით (არჩევის ვადების განსაზღვრის ზოგადი წესი: პროფესორი - მაქსიმუმ 5 წლის ვადით, ასოცირებული პროფესორი - 4-5 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორი - 3-4 წლის ვადით, ასისტენტი - 3-4 წლის ვადით). პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ დამატებით პირობებს (არსებობის შემთხვევაში), ასევე აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგ., აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა).

მუხლი 6. დებულების დანართები

1. წინამდებარე წესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე. წინამდებარე წესის დანართებია:

- დანართი №01 - კონკურსში მონაწილეობის მსურველის პირის განცხადება;
- დანართი №02 - განცხადება „კონკურსანტის ანკეტაში“ მითითებული ინფორმაციის წარდგენის თაობაზე;
- დანართი №03 - კონკურსზე წარდგენილი საბუთების მიღება-ჩაბარება;
- დანართი №04 - კონკურსანტის ანკეტა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი);
- დანართი №05 - კონკურსანტის ანკეტა (ასისტენტი);
- დანართი №06 - საკონკურსო საბუთების განხილვა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი);
- დანართი №07 - საკონკურსო საბუთების განხილვა (ასისტენტი);
- დანართი №08 - სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასება;
- დანართი №09 - სასწავლო კურსის კონცეფციის პრეზენტაციის შეფასება;
- დანართი №10 - გასაუბრების შეფასება;
- დანართი №11 - შემაჯამებელი ინფორმაცია კონკურსის წინასწარი შედეგების შესახებ;
- დანართი №12 - შემაჯამებელი ინფორმაცია გასაჩივრებული წინასწარი შედეგების განხილვის შესახებ;
- დანართი №13 - შემაჯამებელი ინფორმაცია კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ.

მუხლი 7. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;

2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭო, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. დებულების მუხლებს წინამდებარე დებულებაში აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განსაზღვრულად, შემცველად ან განმარტებლად;
5. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ზაითლად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
7. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.



დანართი #1

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

პირადი № _____

პირადობის მოწმობის/
პასპორტის № _____

მისამართი _____

საკონტაქტო ტელ. _____

e-mail _____

განცხადება

გავეცანი განცხადებას შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში“ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ღია კონკურსის ჩატარების შესახებ. მსურს მივიღო მონაწილეობა გამოცხადებულ კონკურსში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად,

(პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის, ასისტენტის)

(საკონკურსო ვაკანსიის სფერო)

კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარმოგიდგენთ „კონკურსანტის ანკეტას“, კონკურსის მოთხოვნებით განსაზღვრული და „კონკურსანტის ანკეტაში“ მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელ საბუთებს. ვადასტურებ, რომ გავეცანი „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bntu@edu.ge) განთავსებულ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესს, საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსზე წარდგენილი საბუთების განხილვა-შეფასების ფორმას და კონკურსანტთა შეფასების წესს, „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ შინაგანაწესს, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ჩემს უფლება-მოვალეობებს და შრომითი ხელშეკრულების პირობებს.

ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ კონკურსის წინასწარი და საბოლოო შედეგების გამოცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ჩემი ვინაობის შესახებ განთავსდეს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bntu.edu.ge).

ხელმოწერა: _____

თარიღი

ინფორმაცია
საბუთების რეგისტრაციის
შესახებ

№ სარეგისტრაციო ქურნალის მიხედვით

თარიღი

საბუთები მიიღო

სახელი, გვარი

ხელმოწერა



დანართი #2

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

პირადი № _____

პირადობის მოწმობის/
პასპორტის № _____

მისამართი _____

საკონტაქტო ტელ. _____

e-mail _____

განცხადება

აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი „კონკურსანტის ანკეტაში“ მითითებული ინფორმაციის, კერძოდ:

დადასტურების მიზნით დამატებით წარმოგიდგენთ:

რაც განცხადებას ერთვის დანართის სახით.

ხელმოწერა: _____

თარიღი

საბუთები მიიღო

საკონკურსო კომისიის მდივნის სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი



დანართი #3

კონკურსანტის განცხადების დანართი

კონკურსზე წარდგენილი საბუთების მიღება-ჩაბარება

მე, _____ კონკურსში მონაწილეობის მიზნით
(სახელი, გვარი) წარმოვადგინე:

№	დოკუმენტის დასახელება	მიუთითეთ რა ფორმით არის წარდგენილი საბუთი
		ელ. ვერსია / ამონაბეჭდი
1.	„კონკურსანტის ანკეტა“	
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10.		

ხელმოწერა: _____

თარიღი

ინფორმაცია
საბუთების რეგისტრაციის
შესახებ

№ სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

თარიღი

საბუთები მიიღო

სახელი, გვარი

ხელმოწერა



კონკურსანტის ანკეტა

სახელი, გვარი			ფოტო
პირადი ნომერი	პირადობის მოწმობის №		
მისამართი			
საკონტაქტო ტელ.	e-mail		

საკონკურსო	აკადემიური თანამდებობა	<input type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ-პროფესორი
	ვაკანსიის სფერო			
კვალიფიკაციის დადასტურებას ახდენთ		აკადემიური ნიშნით: <input type="checkbox"/>	პროფესიული ნიშნით: <input type="checkbox"/>	

I. ძირითადი საკონკურსო ინფორმაცია

(„ძირითადი საკონკურსო ინფორმაციით“ კონკურსანტის მიერ დასტურდება საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობა. ქვემოთ მოცემული პუნქტების შევსება აუცილებელია. საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ კონკურსანტის მიერ მითითებულ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტაციას)

1. კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის დადასტურება

აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურება (ივსება მხოლოდ აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში)

უმაღლესი განათლება:

მინიჭებული კვალიფიკაცია			
კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება			
კვალიფიკაციის დამადასტურებელი	დოკუმენტი	დიპლომი	
	№ და გაცემის თარიღი	№ 0000	00.00.0000
<i>შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (დიპლომის ასლი); 2) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის და განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა; 3) „გაცემის თარიღში“ მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.</i>			

დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი

მინიჭებული ხარისხი			
სადისერტაციო თემის დასახელება			
ხარისხის მიმნიჭებელი დაწესებულება			
ხარისხის დამადასტურებელი	დოკუმენტი	დიპლომი	
	№ და გაცემის თარიღი	№ 0000	00.00.0000
<i>შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (დიპლომის ასლი/სხვ.); 2) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის და განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა; 3) „გაცემის თარიღში“ მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.</i>			

სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება:

№	დაწესებულება	საქმიანობა / თანამდებობა	ქვეყანა	რიცხვი, თვე, წელი	
				-დან	-მდე
1.				00.00.0000	00.00.0000
2.					
<i>შენიშვნა: 1) მითითებული უნდა დადასტურდეს პროფესორისთვის - 6 წლის, ასოცირებული პროფესორისთვის - 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება; 2) პედაგოგიურ გამოცდილებად მიიჩნევა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოღვაწეობა; 3) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (შრომის წიგნაკის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის/საქმიანობის მითითებით და/ან სხვ.); 4) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; „წლებში“ მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.</i>					

პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურება (ივსება მხოლოდ პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში)

უმაღლესი განათლება:

მინიჭებული კვალიფიკაცია			
კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება			
კვალიფიკაციის დამადასტურებელი	დოკუმენტი	დიპლომი	
	№ და გაცემის თარიღი	№ 0000	00.00.0000



შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (დიპლომის ასლი); 2) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიკაციის დადასტურებული დოკუმენტის საწარმოო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის და განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა; 3) „გაგეშის თარიღში“ მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

პროფესიული გამოცდილება (საკონკურსო ვაკანსიის სფეროში):

№	დაწესებულება / ორგანიზაცია	საქმიანობა / თანამდებობა	რიცხვი, თვე, წელი	
			-დან	-მდე
1.			00.00.0000	00.00.0000

შენიშვნა: 1) მითითებული უნდა დადასტურდეს პროფესორისთვის - 6 წლის, ასოცირებული პროფესორისთვის - 5 წლის, ასისტენტ-პროფესორისთვის - 4 წლის პროფესიული გამოცდილება; 2) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (შრომის წიგნაკის ასლი, ცნობა თანამდებობის/საქმიანობის მითითებით და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

პედაგოგიური გამოცდილება:

№	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	თანამდებობა (აკადემიური/მოწვეული პერსონალი)	რიცხვი, თვე, წელი	
			-დან	-მდე
1.			00.00.0000	00.00.0000

შენიშვნა: 1) მითითებული უნდა დადასტურდეს პროფესორისთვის - 6 წლის, ასოცირებული პროფესორისთვის - 3 წლის პედაგოგიური გამოცდილება; 2) პედაგოგიურ გამოცდილებად მიიხსნება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოღვაწეობა; 3) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (შრომის წიგნაკის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის/ საქმიანობის მითითებით და/ან სხვ.); 4) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

2. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - საკონკურსო ვაკანსიის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის თანავეტორობით გამოცემული / გამოქვეყნებული:

№	ნაშრომის/პუბლიკაციის სათაური	ავტორობა / თანავეტორობა	ქვეყანა	წელი
1.	სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, ლექსიკონი და/ან სხვ.):			
1.				0000
2.	სამეცნიერო პუბლიკაციები (სტატიები და/ან სხვ.):			
1.				

შენიშვნა: 1) შეივსება როგორც აკადემიური, ისე პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში; 2) მოიაზრება რეფერირებად ჟურნალებში/კრებულებში/სხვ. გამოქვეყნებული პუბლიკაციები; 3) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (ნაშრომის/სახელმძღვანელოს/სხვ., ჟურნალის/სხვ. შესაბამისი ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი); 4) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

3. კონკურსზე წარდგენილი სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი

№	სასწავლო კურსის დასახელება	უმაღლესი განათლების საფეხური (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა)
1.		

შენიშვნა: 1) შეივსება როგორც აკადემიური, ისე პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში; 2) სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი (რაოდენობა - min 01, max 03): ა) უნდა იყოს წარდგენილი საკონკურსო ვაკანსიის სფეროში, ბ) სილაბუსის წარმდგენი პირი უნდა ფლობდეს წარმოდგენილი სასწავლო კურსის შესაბამის კვალიფიკაციას - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს: ამ პირის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი სპეციალური განათლებით, პროფესიული გამოცდილებით და ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით/პუბლიკაციებით, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას; 3) სილაბუსი შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი, ისე განსხვავებული ფორმით. საკონკურსოდ წარმოდგენილი სილაბუსში მითითებული უნდა იყოს: სასწავლო კურსის დასახელება, უმაღლესი განათლების საფეხური, მიეკუთვნება კრედიტებში, შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სასწავლო კურსის წინაპირობები, მიზანი, დარგობრივი, ტრანსფერული კომპეტენციებით აღწერილი სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების მეთოდები, სტუდენტის შეფასების სისტემა (შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულა(ებ)), ძირითადი (სავალდებულო) და დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა.

II. დამატებითი საკონკურსო ინფორმაცია

(„დამატებითი საკონკურსო ინფორმაცია“ მხედველობაში მიიღება მხოლოდ კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში. ქვემოთ მითითებული პუნქტების შევსება ხდება კონკურსანტის გადაწყვეტილებისამებრ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ინფორმაციის შესწავლა-შეფასებისას საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ კონკურსანტის მიერ მითითებულ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტაციას)

1. ბოლო 10 წლის განმავლობაში (პერიოდში) - კონკურსზე წარდგენილი სასწავლო კურს(ებ)ის განხორციელების გამოცდილება:

№	სასწავლო კურსის დასახელება	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	წლები	
			-დან	-მდე
1.			00.00.0000	00.00.0000

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო კურსის განხორციელების გამოცდილება; 2) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

2. ბოლო 10 წლის განმავლობაში (პერიოდში) - პედაგოგიური, საკონკურსო ვაკანსიის სფეროში სამეცნიერო და/ან პროფესიული გამოცდილება:

№	დაწესებულება	საქმიანობა / თანამდებობა	რიცხვი, თვე, წელი	
			-დან	-მდე



I. პედაგოგიური გამოცდილება:				
1.			00.00.0000	00.00.0000
II. პროფესიული გამოცდილება:				
1.				
III. სამეცნიერო გამოცდილება:				
1.				

შენიშვნა: 1) პედაგოგიურ გამოცდილებად მიიჩნევა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამეცნიერო გამოცდილებად – სამეცნიერო დაწესებულებაში/კვლევით ცენტრში/სხვა სამეცნიერო საქმიანობა; 2) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (შრომის წიგნაკის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის/საქმიანობის მითითებით და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

3. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - საკონკურსო ვაკანსიის სფეროში საერთაშორისო და/ან ადგილობრივ კონფერენციებში, სემინარებში და/ან სხვ. მონაწილეობა:

№	კონფერენციის, სემინარის და/ან სხვ. დასახელება	მონაწილეობის ფორმა	ქვეყანა	წელი
1.				0000

შენიშვნა: 1) „მონაწილეობის ფორმაში“ მიუთითეთ „მონაწილეობა“ (მოიაზრება მოხსენებით გამოსვლა/პრეზენტაცია და/ან სხვ.) ან „დასწრება“; 2) „მონაწილეობის“ მითითების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (საკონფერენციო მასალების/შუკულებების/კრებულის/სხვ. შესაბამისი ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

4. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - პროფესიული განვითარება: საკონკურსო ვაკანსიის სფეროში სტაჟირება, ტრენინგებში და/ან სხვ. მონაწილეობა, სპეციალური მომზადების კურსების გაგლა და/ან სხვ.:

№	სტაჟირების, ტრენინგის და/ან სხვ. დასახელება	მიღებული დოკუმენტი	ქვეყანა	წელი
1.				0000

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (სერტიფიკატის/მოწმობის ასლი, ცნობა და/ან სხვ.); 2) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

5. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - საკონკურსო ვაკანსიის სფეროში მიღებული სტიპენდიები და/ან გრანტები:

№	გრანტის/სტიპენდიის დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	ქვეყანა	წელი
1.				0000

შენიშვნა: ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

6. ენობრივი კომპეტენციები (უცხო ენ(ებ)ის ფლობა):

№	უცხო ენა	ფლობის დონე				დარგობრივი	დამადასტურებელი დოკუმენტი
		B1	B2	C1	C2		
1.		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	

შენიშვნა: 1) ზოგადი უცხო ენა - მიუთითეთ B1, B2, C1 ან C2 დონე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ მითითებული „დამადასტურებელი დოკუმენტი“ შეიცავს შესაბამის ინფორმაციას, უცხო ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურებაში მოიაზრება მაგ.: საერთაშორისო სერტიფიკატები (ინგლისური ენის შემთხვევაში - მაგ., ტოფელი (TOEFL PBT), ბრიტანეთის სამჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის სამჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.); შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო/უცხოეთის/საქართველოში მოქმედი ორგანიზაციის/წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დგინდება/დასტურდება შესაბამის დონეზე ენის ფლობა (სერტიფიკატი/მოწმობა/სხვ.); საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი (დიპლომი/დანართი/ ცნობა/სხვ.), რომლითაც დგინდება/დასტურდება შესაბამის დონეზე ენის ფლობა. სასწავლო უნივერსიტეტში კონკურსის მიზნებისთვის ჩაითვლება: B1 დონედ - ამ უცხო ენაზე მიღებული ნებისმიერი სფეროს პროფესიული განათლება (პროფესიული დიპლომი/ცნობა/სხვ.); B2 დონედ - ამ უცხო ენაზე მიღებული სრული ზოგადი განათლება (ატესტატი/სხვ.) ან ნებისმიერი სფეროს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); C1 დონედ - უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება - ნებისმიერი სფეროს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დიპლომი/ცნობა/სხვ.) ან ნებისმიერი სფეროს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); C2 დონედ - უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება - ნებისმიერი სფეროს აკადემიური ხარისხი (დიპლომი, დანართი, ცნობა/სხვ.) ან ნებისმიერი სფეროს სადოქტორო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); 2) დარგობრივი უცხო ენა - საკონკურსო ვაკანსიის სფეროში უცხოეთში/საქართველოში ამ უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება - აკადემიური/მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი/დანართი/ცნობა/სხვ.) ან სადოქტორო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); უცხო ენაზე სპეციალური დარგობრივი მომზადების პროგრამ(ებ)ის/სხვ. გაგლა, უცხოეთის/საქართველოს დარგობრივ პროექტებში/პროგრამებში/სხვ. მონაწილეობა (ცნობა/სხვ.), უცხოეთის/საქართველოს ორგანიზაციებში/დაწესებულებებში/სხვ. მუშაობა და/ან სხვა საქმიანობა, რომელიც მოითხოვს ამ უცხო ენაზე აუცილებელ ზეპირ და წერით კომუნიკაციას დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით (შრომის წიგნაკის შესაბამისი ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი/ცნობა/სხვ.); 3) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია.

7. კომპიუტერული უნარები:

№	დასახელება	ფლობის დონე
1.		

შენიშვნა: 1) მიუთითეთ კომპიუტერული პროგრამები (Microsoft Office: Word, Excel, PowerPoint და/ან სხვ.), ვებბრაუზერები (Google Chrome, Opera, Internet Explorer და/ან სხვ.) და/ან დარგობრივი (საკონკურსო ვაკანსიის შესაბამისი) კომპიუტერული პროგრამები, რომელთა გამოყენება შეგიძლიათ; 2) მიუთითეთ დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) ან თავად შეაფასეთ მითითებული პროგრამ(ებ)ის ფლობის დონე (გამოყენების უნარი) - „თავისუფლად“, „კარგად“, „დამაკმაყოფილებლად“.

გადასტურებ წინამდებარე ანკეტაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეს

განმცხადებელი

სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი



კონკურსანტის ანკეტა

ფოტო

სახელი, გვარი			
პირადი ნომერი	პირადობის მოწმობის №		
მისამართი			
საკონტაქტო ტელ.	e-mail		

საკონკურსო	აკადემიური თანამდებობა	ასისტენტი			
	ვაკანსიის სფერო				
კვალიფიკაციის დადასტურებას ახდენთ		აკადემიური ნიშნით:	<input type="checkbox"/>	პროფესიული ნიშნით:	<input type="checkbox"/>

I. ძირითადი საკონკურსო ინფორმაცია

(„ძირითადი საკონკურსო ინფორმაციით“ კონკურსანტის მიერ დასტურდება საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობა. ქვემოთ მოცემული პუნქტების შევსება აუცილებელია. საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ კონკურსანტის მიერ მითითებულ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტაციას)

1. კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის დადასტურება

აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურება (ივსება მხოლოდ აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში)

უმაღლესი განათლება:

მინიჭებული კვალიფიკაცია			
კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო დაწესებულება			
კვალიფიკაციის დამადასტურებელი	დოკუმენტი	დიპლომი	
	№ და გაცემის თარიღი	№ 0000	00.00.0000

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (დიპლომის ასლი); 2) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის და განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა; 3) „გაცემის თარიღში“ მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

ინფორმაცია სადოქტორო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამის დასახელება			
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია)			
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება			
სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი	0000		

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სადოქტორო პროგრამის დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამაზე ჩარიცხვის და საკონკურსო საბუთების წარდგენის მომენტისთვის სტუდენტის (დოქტორანტის) სტატუსის (აქტიური/შეჩერებული) მითითებით; უცხო ქვეყანაში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - ასევე აუცილებელია ცნობის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის და განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა.

პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურება (ივსება მხოლოდ პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში)

უმაღლესი განათლება:

მინიჭებული კვალიფიკაცია			
კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო დაწესებულება			
კვალიფიკაციის დამადასტურებელი	დოკუმენტი	დიპლომი	
	№ და გაცემის თარიღი	№ 0000	00.00.0000

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (დიპლომის ასლი); 2) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის და განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა; 3) „გაცემის თარიღში“ მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

პროფესიული გამოცდილება (საკონკურსო ვაკანსიის სფეროში):

№	დაწესებულება / ორგანიზაცია	საქმიანობა / თანამდებობა	რიცხვი, თვე, წელი	
			-დან	-მდე
1.			00.00.0000	00.00.0000
2.				

შენიშვნა: 1) მითითებული უნდა დადასტურდეს 3 წლის პროფესიული გამოცდილება; 2) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (შრომის წიგნაკის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის/საქმიანობის და სტაჟის მითითებით და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.



II. დამატებითი საკონკურსო ინფორმაცია

(„დამატებითი საკონკურსო ინფორმაცია“ მხედველობაში მიიღება მხოლოდ კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში. ქვემოთ მითითებული პუნქტების შევსება ხდება კონკურსანტის გადაწყვეტილებისამებრ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. ინფორმაციის შესწავლა-შეფასებისას საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ კონკურსანტის მიერ მითითებულ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტაციას)

1. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - საკონკურსო ვაკანსიის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის თანავეტორობით, გამოქვეყნებული სამეცნიერო/დარგობრივი პუბლიკაციები (სტატიები და/ან სხვ.):

№	პუბლიკაციის სათაური	ავტორი / თანავეტორი	ქვეყანა	წელი
1.				

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (ჟურნალის/სხვ. შესაბამისი ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი); 2) მოიაზრება რეფერირებად ჟურნალებში/სხვ. გამოქვეყნებული პუბლიკაციები; 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

2. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - პედაგოგიური და/ან საკონკურსო ვაკანსიის სფეროში პროფესიული გამოცდილება:

№	დაწესებულება	საქმიანობა / თანამდებობა	რიცხვი, თვე, წელი	
			-დან	-მდე
I. პროფესიული გამოცდილება:				
1.			00.00.0000	00.00.0000
II. პედაგოგიური გამოცდილება:				
1.				

შენიშვნა: 1) პედაგოგიურ გამოცდილებად მიიჩნევა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოღვაწეობა; 2) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (შრომის წიგნაკის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის/საქმიანობის მითითებით და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით; მიუთითეთ რიცხვი, თვე, წელი.

3. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - საკონკურსო ვაკანსიის სფეროში საერთაშორისო და/ან ადგილობრივ კონფერენციებში, სემინარებში და/ან სხვ. მონაწილეობა:

№	კონფერენციის, სემინარის და/ან სხვ. დასახელება	მონაწილეობის ფორმა	ქვეყანა	წელი
1.				0000

შენიშვნა: 1) „მონაწილეობის ფორმაში“ მიუთითეთ „მონაწილეობა“ (მოიაზრება მოხსენებით გამოვლა/პრეზენტაცია და/ან სხვ.) ან „დასწრება“; 2) „მონაწილეობის“ მითითების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (საკონფერენციო მასალების/შუკლეტების/კრებულების/სხვ. შესაბამისი ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი და/ან სხვ.); 3) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

4. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - პროფესიული განვითარება: საკონკურსო ვაკანსიის სფეროში სტაჟირება, ტრენინგებში და/ან სხვ. მონაწილეობა, სპეციალური მომზადების კურსების გაგლა და/ან სხვ.:

№	სტაჟირების, ტრენინგის და/ან სხვ. დასახელება	მიღებული დოკუმენტი	ქვეყანა	წელი
1.				0000

შენიშვნა: 1) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (სერტიფიკატის/მოწმობის ასლი, ცნობა და/ან სხვ.); 2) ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

5. ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) - საკონკურსო ვაკანსიის სფეროში მიღებული სტიპენდიები და/ან გრანტები:

№	გრანტის/სტიპენდიის დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	ქვეყანა	წელი
1.				0000

შენიშვნა: ინფორმაცია მიუთითეთ ქრონოლოგიურად, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით.

6. ენობრივი კომპეტენციები (უცხო ენ(ებ)ის ფლობა):

№	უცხო ენა	ფლობის დონე				დარგობრივი	დამადასტურებელი დოკუმენტი
		B1	B2	C1	C2		
1.		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	

შენიშვნა: 1) ზღვად უცხო ენა - მიუთითეთ B1, B2, C1 ან C2 დონე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ მითითებული „დამადასტურებელი დოკუმენტი“ შეიცავს შესაბამის ინფორმაციას, უცხო ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურებაში მოიაზრება მაგ.: საერთაშორისო სერტიფიკატები (ინგლისური ენის შემთხვევაში - მაგ., ტოფელი (TOEFL PBT), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის საბჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.); შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო/უცხოეთის/საქართველოში მოქმედი ორგანიზაციის/წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დგინდება/ დასტურდება შესაბამის დონეზე ენის ფლობა (სერტიფიკატი/მოწმობა/სხვ.); საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი (დიპლომი/დანართი/ ცნობა/სხვ.), რომლითაც დგინდება/დასტურდება შესაბამის დონეზე ენის ფლობა. სასწავლო უნივერსიტეტში კონკურსის მიზნებისთვის ჩათვლება: B1 დონედ - ამ უცხო ენაზე ნებისმიერ სფეროში მიღებული პროფესიული განათლება (პროფესიული დიპლომი/ცნობა/სხვ.); B2 დონედ - ამ უცხო ენაზე მიღებული სრული ზოგადი განათლება (ატესტატი/სხვ.) ან ნებისმიერი სფეროს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); C1 დონედ - ამ უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება - ნებისმიერი სფეროს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დიპლომი/ცნობა/სხვ.) ან ნებისმიერი სფეროს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); C2 დონედ - უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება - ნებისმიერი სფეროს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (დიპლომი, დანართი/სხვ.) ან ნებისმიერი სფეროს სადოქტორო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); 2) დარგობრივი უცხო ენა - საკონკურსო ვაკანსიის სფეროში უცხოეთში/საქართველოში ამ უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლება - აკადემიური/მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი/დანართი/ცნობა/სხვ.) ან სადოქტორო პროგრამაზე სწავლა (ცნობა/სხვ.); უცხო ენაზე სპეციალური დარგობრივი მომზადების პროგრამ(ებ)ის/სხვ. გაგლა, უცხოეთის/საქართველოს დარგობრივ პროექტებში/პროგრამებში/სხვ. მონაწილეობა (ცნობა/სხვ.), უცხოეთის/საქართველოს ორგანიზაციებში/დაწესებულებებში/სხვ. მუშაობა და/ან სხვა საქმიანობა, რომელიც მოითხოვს ამ უცხო ენაზე აუცილებელ ზეპირ და წერით კომუნიკაციას დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით (შრომის წიგნაკის შესაბამისი ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი/ცნობა/სხვ.); 3) მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია.



7. კომპიუტერული უნარები:

№	დასახელება	ფლობის დონე
1.	<p><i>შენიშვნა: 1) მიუთითეთ კომპიუტერული პროგრამები (Microsoft Office: Word, Excel, PowerPoint და/ან სხვ.), ვებბრაუზერები (Google Chrome, Opera, Internet Explorer და/ან სხვ.) და/ან დარგობრივი (საკონკურსო ვაკანსიის სფეროს შესაბამისი) კომპიუტერული პროგრამები, რომელთა გამოყენება შეგიძლიათ; 2) მიუთითეთ დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) ან თავად შეაფასეთ მიუთითებული პროგრამ(ებ)ის ფლობის დონე (გამოყენების უნარი) – „თავისუფლად“, „კარგად“, „დამაკმაყოფილებლად“.</i></p>	

ვადასტურებ წინამდებარე ანკეტაში მიუთითებული ინფორმაციის სიზუსტეს

განმცხადებელი

სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი



საკონკურსო საბუთების განხილვა

კონკურსანტის სახელი, გვარი				
საკონკურსო	აკადემიური თანამდებობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	ვაკანსიის სფერო	პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ-პროფესორი
კვალიფიკაციის დადასტურება ხდება		აკადემიური ნიშნით :	<input type="checkbox"/>	პროფესიული ნიშნით: <input type="checkbox"/>

საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობა

1.	კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობა	<input type="checkbox"/>
----	---	--------------------------

აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში:		
დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება (პროფესორისთვის - min 6 წელი, ასოცირებული პროფესორისთვის - min 3 წელი)	<input type="checkbox"/>	

პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დადასტურების შემთხვევაში:		
არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროფესიული გამოცდილება (საკონკურსო ვაკანსიის სფეროში; პროფესორისთვის - min 6 წელი; ასოცირებული პროფესორისთვის - min 5 წელი; ასისტენტ-პროფესორისთვის - min 4 წელი)	<input type="checkbox"/>	
პედაგოგიური გამოცდილება (პროფესორისთვის - min 6 წელი; ასოცირებული პროფესორისთვის - min 3 წელი)	<input type="checkbox"/>	

შენიშვნა: 1) ზემოთ მითითებული წარმოდგენს კონკურსის ძირითად პირობებს; 2) კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ აპლიკანტის მიერ მითითებულ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტაციას; 3) პედაგოგიურ გამოცდილება მიიჩნევა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამეცნიერო გამოცდილებად - სამეცნიერო/კვლევით/სხვ. დაწესებულებაში მოღვაწეობა; 3) უცხო ქვეყანაში განათლების/კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში აუცილებელია სსიპ „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის“ მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის წარდგენა.

2.	ბოლო 5 წლის განმავლობაში (პერიოდში) გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები / გამოცემული სამეცნიერო ნაშრომ(ებ)ი (საკონკურსო ვაკანსიის სფეროში, მათ შორის, თანავეტრობით)	<input type="checkbox"/>
----	--	--------------------------

შენიშვნა: 1) მოიაზრება რეგულირებად ჟურნალებში/კრებულებში/სხვ. გამოქვეყნებული პუბლიკაციები; 2) კომპონენტი ფასდება კომისიის წევრი-დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ. მხედველობაში მიიღება დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია (ნაშრომის/სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის/სხვ., ჟურნალის/კრებულის/სხვ. შესაბამის ინფორმაციის შემცველი გვერდ(ებ)ის ასლ(ებ)ი);

3.	კონკურსზე წარდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები
----	---

